გამარჯვება ალმა–ათაში

ალმა–ათა. ცენტრალური სტადიონი. 28 მაისი.

“ქაირათი” (ალმა–ათა) – “დინამო (თბილისი) 1:2 (1:1).

“ქაირათი”: ორდაბაევი, კოჩუბინსკი, ტალგაევი, ბაიშაკოვი, ნიკოტენკო, ხისამუტდინოვი (კრუგლიხინი), გოროხოვოდაცკი, ლიხოშერსტნიხი, ლეკსინი, იონკინი (სტუკაშევი), ევდოკომოვი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (გ. მაჩაიძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, კოპალეიშვილი (მინაშვილი), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია კრუგლიხინი.

დუბლიორები: 0:1 (გოლი გაიტანა ჭილაიამ).

ლიდერთან ყველა განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს და ამ მხრივ არც ეს მატჩი იყო გამონაკლისი. რაღა თქმა უნდა, თბილისელებსაც არ ჰქონდათ “უკანდასახევი გზა” – მდევართა საკმაოდ დიდი ჯგუფი ფეხდაფეხ მოჰყვება დინამოელებს.

– თბილისის “დინამოს” წარმატებები მიმდინარე სეზონში აშკარაა. მე პატივს ვცემ ამ კოლექტივს და ვფიქრობ, რომ იგი მისაბაძია სხვებისთვის. დღევანდელ შეხვედრაში უთუოდ უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდება – განაცხადა მატჩის წინ “ქაირათის” უფროსმა მწვრთნელმა ს. კამინსკიმ.

“დინამომ” ერთგვარად შეცვალა წინა მატჩების სქემა. ამ შეხვედრაში მან შესამჩნევად გააძლიერა ნახევარდაცვის ხაზი და სწორადაც მოიქცა – წინა შეხვედრებში “ნეფთჩისთან” და “შახტიორთან” ეს რგოლი მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებოდა.

თამაში დაზვერვის გარეშე დაიწყო. ჯერ ქორიძის დარტყმა აცდა ალმაათელთა კარს, შემდეგ საპასუხო იერიში და გოროხოვოდაცკის მიერ სტუმართა კარისკენ დარტყმულ ბურთს კანთლაძემ გადაუღობა გზა.

მე–10 წუთი. იგივე გოროხოვოდაცკი 25 მეტრის მანძილიდან ზუსტი დარტყმით ამთავრებს თავისი გუნდის კომბინაციას. 1:0 – დაწინაურდნენ ალმაათელები.

მე–15 წუთი. სახიფათოდ უტევენ თბილისელები. შენგელიასთან ორთაბრძოლაში ჯარიმდება ტალგაევი. მ. მაჩაიძის დარტყმას კუთხურზე იგერიებს ორდაბაევი.

უნდა ითქვას, რომ გაშვებულ გოლს დინამოელები საკმაოდ მშვიდად, უპანიკოდ შეხვდნენ, გუნდი უფრო და უფრო აქტიურად თამაშობდა, მობილიზებული იყო ყველა რგოლი.

30–ე წუთი. თბილისელთა შეტევა მარცხენა ფრთიდან. კოპალეიშვილმა ხელსაყრელ პოზიციაში შენიშნა შენგელია, რომელმაც არ დააყოვნა და ანგარიში გაათანაბრა (ეს ახალგაზრდა თავდამსხმელის მე–6 გოლია მიმდინარე ჩემპიონატში).

მასპინძელთა კონტრშეტევები. კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთზე დროულად გამოდის გოგია. ხისამეტდინოვის დარტყმა სცდება თბილისელთა კარს. თბილისელთა საპასუხო იერიში, კვლავ კუთხური, ამჯერად ალმაათელთა კართან. კარგად მოქმედებს ყიფიან–შენგელიას დუეტი.

მეორე ტაიმი. თბილისელ მცველებთან ვერაფერი გააწყო იონკინმა და მინდორი დატოვა. ცვლილება მოხდა დინამოელთა რიგებშიც – ჩივაძის ნაცვლად შემოდის გ. მაჩაიძე.

52–ე წუთი. გ. მაჩაიძემ მოატყუა რამდენიმე ალმაათელი ფეხბურთელი და ზუსტი დარტყმით დააწინაურა თბილისელები – 2:1.

ისევ მასპინძელთა საპასუხო იერიშები. კარგად ხელმძღვანელობს დინამოელთა დაცვას ხინჩაგაშვილი. კვლავ გრძელდება ალმაათელთა შეტევები, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

– მეტად საპასუხისმგებლო მატჩი მოვიგეთ. დინამოელები თავიდანვე საბრძოლო განწყობილებით გამოვიდნენ მინდორზე, ყველაფერი იღონეს გამარჯვების მისაღწევად – თქვა შეხვედრის შემდეგ "დინამოს" მწვრთნელმა ს. კუტივაძემ.

გუნდი ალმა–ათიდან მოსკოვში გაემგზავრა, სადაც 2 და 6 ივნისს 2 საპასუხისმგებლო მატჩი ელის "ტორპედოსა" და "ლოკომოტივთან".

მ. მებაღიშვილი.

"ლელო", 30 მაისი, 1978 წ.